

დამტკიცებულია  
სსიპ-ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის  
აკადემიური საბჭოს მიერ  
2018 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით



სსიპ-ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესი და პირობები

## 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესისა და პირობების მიზანს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში (შემდგომში კოლეჯში) აკადემიური თანამდებობების დაკავება ღია კონკურსის წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს ერთ-საშემსრულებლო ხელოვნების ფაკულტეტზე შემდეგი საშემსრულებლო მიმართულებების მიხედვით: ფორტეპიანო, საორკესტრო სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა- კონკურსი ცხადდება და ტარდება ამ ფაკულტეტზე სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო აკადემიური თანამდებობებზე

1.2. კონკურსს ნიშნავს და აცხადებს კოლეჯის აკადემიური საბჭო

1.3. ინფორმაცია ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს კონკურსის ჩატარების თარიღსა და პირობებს. იგი უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, საკონკურსო განაცხადების მიღებამდე არაუგვიანეს 1 თვით ადრე. ზუსტი ვადა კონკურსის ჩატარების თარიღის, პირობებისა და საბუთების მიღების შესახებ განისაზღვრება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით

## 2. კომისიები

2.1. გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისი კონკურსის ჩატარების მიზნით, კოლეჯის რექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო და საპროცედურო კომისიები

2.2. საპროცედურო და საკონკურსო კომისიების შემადგენლობას ამტკიცებს კოლეჯის რექტორი

2.3. საპროცედურო და საკონკურსო კომისიები იქმნება პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და მასწავლებლის აკადემიურ თანამდებობებზე ასარჩევ კანდიდატთა გამოვლენის მიზნით

2.4. საპროცედურო კომისია უზრუნველყოფს კონკურსანტთა განაცხადებების მიღებას. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრის (თავმჯდომარე, მდივანი და წევრი) ოდენობით, ხოლო საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 7 წევრით (თავმჯდომარე, მდივანი და წევრები).

საპროცედურო კომისია პასუხისმგებელია საკონკურსო განაცხადებისა და საკონკურსო კომისიაში შემოსული კორესპონდენციების (მათ შორის განცხადებების/საჩივრების) მიღებასა და რეგისტრაციაზე. საპროცედურო კომისია რეგისტრაციაში ატარებს კონკურსში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს შესაბამის ცნობებს, ახორციელებს ამ წესითა და პირობებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს. საპროცედურო კომისიის მდივანი ვალდებულია საკონკურსო კომისიის მდივანს გაუწიოს დახმარება სათანადო ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში

2.5. საპროცედურო და საკონკურსო კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ კონკურსში მონაწილე კანდიდატები

2.6. საპროცედურო კომისია იმუშავებს წინასწარ გამოყოფილ სამუშაო ოთახში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კომპიუტერთა და სათანადო ინვენტარით

2.7. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ყველა გადაწყვეტილება კონკურსის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისი შემადგენლობიდან კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს (ოქმებს) და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს

საკონკურსო კომისიის მდივნად აირჩევა კომისიის ნებისმიერი წევრი კომისიის პირველ სხდომაზე, ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის სხდომების და სხდომის ოქმებს, დღის წესრიგს, ადგენს კონკურსის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს

### 3. საკონკურსო პირობები

3.1. კონკურსის ძირითადი პირობები საშემსრულებლო მიმართულებით:

ა) პროფესორის თანამდებობაზე 5 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც კონკურსამდე დაკავებული ჰქონდა პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა და აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური, სამეცნიერო-მეთოდური და საშემსრულებლო-შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დამატებით პირობებს. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული პედაგოგიური/სამეცნიერო-მეთოდური/ საშემსრულებლო-შემოქმედებითი მიღწევები, ამ თანამდებობას იკავებს უვადოდ კოლეჯის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. პროფესორის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.

ბ) ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე აირჩევა პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური, სამეცნიერო-მეთოდური და საშემსრულებლო-შემოქმედებითი მუშაობის პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება და, ასევე, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე აირჩევა პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება

გ) მასწავლებლის აკადემიურ თანამდებობაზე აირჩევა დოქტორანტი ან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ეწევა პედაგოგიურ და/ან აქტიურ სამემსრულებლო მოღვაწეობას და აქვს არანაკლებ 4 წლის გამოცდილება

დ) კონკურსში მონაწილეს, რომელსაც არ უმუშავნია უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დამატებით ესაჭიროება ორი აღიარებული სპეციალისტის/პროფესორის რეკომენდაცია. რეკომენდაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანდიდატის პიროვნული თვისებების, პროფესიული მონაცემების, სამემსრულებლო და პედაგოგიური გამოცდილების თაობაზე.

კონკურსში მონაწილეს, რომელსაც არ უმუშავნია უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დამატებით მოეთხოვება ღია გაკვეთილის / საჯარო ლექციის ჩატარება.

ღია გაკვეთილის / საჯარო ლექციის ჩატარებას უზრუნველყოფს კოლეჯი

3.2. ყურადღება ექცევა პედაგოგიურ გამოცდილებას, ასახულს კანდიდატის მიერ აღზრდილი სტუდენტების/კურსდამთავრებულების წარმატებებში, აგრეთვე სამემსრულებლო-შემოქმედებით მიღწევებს; ანგარიში გაეწევა სამეცნიერო-მეთოდურ საქმიანობას

3.3. აკადემიური საბჭოს მიერ შეიძლება განისაზღვროს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია

3.4. აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა აქვთ როგორც კოლეჯში დასაქმებულ პროფესორ-მასწავლებლებს, ისე ამ თანამდებობათა დაკავების მსურველ სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატებს, რომლებიც გაივლიან კონკურსს და დააკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს

#### 4. კონკურსის ჩატარების ვადები

4.1. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ინფორმაცია კონკურსის ჩატარების თაობაზე ცხადდება 2018 წლის 14 აპრილს;

4.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებისა და სათანადო დოკუმენტაციის წადგენის ვადა განისაზღვრება ერთი თვით ადრე კონკურსის გამოცხადების თარიღიდან, ე.ი. საბუთების მიღება დაიწყება 2018 წლის 14 მაისიდან და დასრულდება 2018 წლის 27 მაისს.

4.3. აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 11 ივნისს

4.4. ზუსტი გრაფიკი გამოქვეყნდება საბუთების მიღების შეწყვეტის შემდეგ კონკურსში მონაწილეთა რიცხოვნობის მიხედვით

4.5. აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც დააგროვებს კომისიის წევრების მიერ დაჯამებული პარამეტრებით გათვალისწინებული ქულების საერთო ჯამის არანაკლებ 60 %-სა

4.6. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს ერთ-სამემსრულებლო ხელოვნების ფაკულტეტზე, კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: ფორტეპიანო, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი) საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა-კონკურსი ცხადდება და ტარდება ამ ფაკულტეტზე სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო აკადემიურ თანამდებობებზე

## 5. განსაკუთრებული პირობები

5.1. კანდიდატის მიერ წარდგენილი განაცხადის ფორმა შევსებული უნდა იქნეს სრულად, ყოველ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემით და უნდა შეიცავდეს ამომწურავ ინფორმაციას. განაცხადის ფორმას თან უნდა დაერთოს მასში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალები ან მათი ასლები

5.2. განაცხადის არასრული ფორმით წარდგენისას საკონკურსო კომისიას უფლება აქვს არ განიხილოს იგი

5.3. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განათლების დამადასტურებელი საბუთი

ბ) მოკლე ავტობიოგრაფიული ცნობა (CV)

გ) 2 ფოტოსურათი

დ) პირადობის მოწმობის ასლი

ე) განცხადება სასწავლო კურსის აღნიშვნით

ვ) აკადემიური წოდების დამადასტურებელი სერტიფიკატი (ვისაც გააჩნია)

ზ) საშემსრულებლო-შემოქმედებითი მიღწევების ან საჯარო გამოსვლების ამსახველი მასალები

თ) სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომების, სტატიების, წერილების და ა.შ. ჩამონათვალი (ვისაც გააჩნია)

ი) სამეცნიერო-თეორიული კონფერენციების, სიმპოზიუმების და სხვა ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელშიაც იღებდა მონაწილეობას (ვისაც გააჩნია)

5.4. კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასება სორციელდება შემდეგი პარამეტრების მიხედვით (საშემსრულებლო დისციპლინებისთვის)

ა) მიღებული განათლება

ბ) სამუშაო (პედაგოგიური) გამოცდილება

გ) შემოქმედებითი საქმიანობა და/ან აღიარებული საშემსრულებლო მიღწევები

დ) აღზრდილთა რაოდენობა, მათი შემდგომი წარმატება, აქტივობა

ე) ენების ცოდნა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული)

ვ) კომპიუტერული პროგრამების ცოდნა

მუსიკის თეორიისა და მუსიკის ისტორიის დისციპლინებისთვის)

ა) მიღებული განათლება

ბ) სამუშაო (პედაგოგიური გამოცდილება)

გ) სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობა: გამოქვეყნებული ნაშრომები, წერილები, რეცენზიები (2009 წლიდან), შემუშავებული აკადემიური (საბაკალავრო, სამაგისტრო) და პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამნათვალი (2009 წლიდან)

დ) აქტივობა-სხვადასხვა სახის კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, მასტერ-კლასებში მონაწილეობა, პრაქტიკულ-საზოგადოებრივი საქმიანობა (საკონკურსო ჟიურის წევრობა, რესპუბლიკური და/ან საერთაშორისო გამომცემლობების სარედაქციო საბჭოს/კოლეგიის წევრობა, სამხატვრო საბჭოს წევრობა ორგანიზაციული საქმიანობა და ა.შ. (2009 წლიდან)

ე) ენების ცოდნა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული)

ვ) კომპიუტერული პროგრამების ცოდნა

ზ) თითოეული პარამეტრის შეფასების მაქსიმალური ქულაა-10, ხოლო მინიმალური 5 ქულა

6. იმ კანდიდატის შეფასება, რომელსაც არ უმუშავნია უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაში და დამატებით მოეთხოვება ღია გაკვეთილის / საჯარო ლექციის ჩატარება, განხორციელება შესაბამისი სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისიის მიერ

7. საკონკურსო კომისიის მიერ ივსება შეფასების ფორმა, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი

8. კომისიის წევრი უფლებამოსილია დააფიქსიროს განხვავებული მოსაზრება (ასეთის არსებობის შემტხვევაში)

კანდიდატის შეფასების ფორმის ნიმუში

მიღებული განათლება	სამუშაო გამოცდილება	სამეცნ.-მეთოდური საქმიანობა	აქტივობა	აღზრდილთა რაოდენობა	ენების ცოდნა	კომპიუტერი	ქულათა ჯამი
--------------------	---------------------	-----------------------------	----------	---------------------	--------------	------------	-------------

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი:

9. კონკურსის შედეგების შეჯამება და გამოცხადება

9.1. კონკურსის შედეგებს აჯამებს საკონკურსო კომისია, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით

9.2. კონკურსის შედეგები ცხადდება კონკურსის სრული ეტაპის დასრულებიდან ათი დღის ვადაში და განთავსდება კოლეჯში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას და კოლეჯის ვებგვერდზე

9.3. კანდიდატი უფლებამოსილია გაეცნოს საკონკურსო კომისიის ოქმს და გაასაჩივროს იგი თავმჯდომარესთან, ხოლო შემდეგ-რექტორთან